



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 23 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №68/19-1
ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 2019 წლის 12 აპრილს №-- საჩივრით მომართეს --, -- და -- -- და მოითხოვეს, ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.

2019 წლის 10 ივნისს მომზადდა დამოუკიდებელი ინსპექტორის №68/19 დასკვნა.

1. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის -- -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე -- -- გათავისუფლდა -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან 2016 წლის -- სექტემბრიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას არ არსებობს მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის -- -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, -- -- გათავისუფლდა -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან 2016 წლის -- --, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, ის არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ

სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან, არ არსებობს -- --, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №68/19 ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი